ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომის

ო ქ მ ი N19

სხდომის ჩატარების დრო:
2 თებერვალი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ ადმინისტრაციული შენობა
ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი N71ა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრები:
ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, მამუკა რიჟამაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, გრიგოლ შუშანია, კობა გურული.

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თეა ჯუღელი**
იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:
დიმიტრი მხეიძე, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე.

სულ: 15 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

სულ: 9 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ნიკოლოზ**

ჩეჩელაშვილი, საკრებულოს წევრი **ელეონორა არჩაია.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **იუზა უგულავა,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების ხელმძღვანელი **ირაკლი გოგლიჩიძე,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **თემური ერისთავი,** მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **დავით კბილაშვილი,** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ცხვედიანი,** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მუნიციპალური ინსპექციის" სანებართვო პირობებისა დაცვისა და საექსპლოატაციო ობიექტების ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი **გიორგი ხარძეიშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულში-იურიდიულ განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი **ვალსი გარდაფხაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ბატონმა **ი.უგულავამ** აქვე განმარტა: „ვეცდები განვმარტო საკითხის არსი, საშუალოდ თვეში ვხარჯავთ 350 000 ლარის

საწვავს, გავცემთ ხელფასს -260 000 ლარის ოდენობით, ჯამში ხარჯი შეადგენს 610 000 ლარს, შემოსავალი კი -200 000 ლარია, როგორც იცით ჩვენ დავაწესეთ შეღავათები და ეს შეღავათები შეეხო დაახლოებით ქუთაისში მაცხოვრებელ 30 000 ადამიანს, მგზავრთა 80 პროცენტი შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლეა, ერთი მგზავრის გადაყვანის თვითღირებულება 1,2 ლარია, გარკვეული პერიოდი არ ვწერდით ჯარიმებს, ჩვენი მიზანი იყო ხალხი ადაპტირებულიყო არსებულ გადახდის სისტემასთან, ბოლო სამი თვეა შესაბამისი სამსახური წერს ჯარიმებს და დღეში იწერება დაახლოებით 40-50 ჯარიმა, პირველად როცა ბიუჯეტი შემოვიტანეთ საუბარი იყო ტარიფის 0,8 თეთრამდე გაზრდაზე, ეს თვითღირებულების 2/3-ს შეადგენს, მაგრამ აღნიშნული ქმედება მძიმედ რომ არ დაწოლოდა მოსახლეობას, თქვენთან ერთობლივი კომუნიკაციით ვიმუშავეთ სამინისტროსთან, გამოიყო დამატებითი თანხა და გავზარდეთ სუბსიდია, დღევანდელ ბიუჯეტში უკვე განსაზღვრულია 4 400 000 ლარი. დაახლოებით დათვილი გვაქვს ტრანსპორტის შენახვა უნდა დაგვიჯდეს 8 500 000-8 800 000 ლარი ხოლო შემოსავალი შემოგვივა დაახლოებით- 3 300 000 ლარი, დანარჩენს შევავსებთ სუბსიდიით, რომელიც უკვე მონახული გვაქვს. ტარიფის 0,8 თეთრამდე გაზრდის შემთხვევაში ჩვენ ვფიქრობდით რიგი შეღავათების დაწესებას და ჩამონათვალის გაზრდას, თუმცა ამ ეტაპზე ამას ვეღარ მოვახერხებთ სამწუხაროდ."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციებმა სასურველი შედეგი გამოიღო, შესაძლოა დამატებით შეღავათებზე საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ვნახოთ გადამხდელების რა ციფრზე გავალთ, ყოველდღიურად ჩვენ გადაგვყავს 27 000 ადამიანი, დაახლოებით 3 000 ადამიანი არ იხდის თანხას. კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რაგდან სიახლე იყო ქუთაისის მოსახლეობისათვის, ბარათით გადახდის სისტემა, გარკვეული პერიოდი იყო საშეღავათო მათთვის, 5 000 ცალი ბარათი საჩუქრად დავარიგეთ, საჭიროების შემთხვევაში ანალოგიურ ღონისძიებას კვლავ გავატარებთ. ვგეგმავთ, რომ მაღაზიებთან გავაფორმოთ ხელშეკრულება და ყველას, იგივე არაადგილობრივ მოქალაქეებს ჰქონდეთ ამ ბარათის მარტივად შეძენის შესაძლებლობა."

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ნამდვილად კარგი იდეაა ქალაქის შემოსასვლელებში ყველგან იყოს ამ ბარათის შეძენის შესაძლებლობა და სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებს არ შევუქმნათ დისკომფორტი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მიმდინარეობს მოლაპარაკებები, შესაძლოა ვერ მოვიცვათ მთელი ქალაქი, თუმცა გავაკეთებთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს."

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ვფიქრობ პენსიონრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თავიანთი საპენსიო ბარათით შეძლონ მგზავრობის საფასურის გადახდა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „რათქმაუნდა ეს საკითხიც წამოვჭერით ჩვენ, მაგრამ ბანკები ვერ მოვალაპარაკეთ ერთმანეთს, ლიბერთი ბანკი არ გვაძლევს თანხმობას თანხის გადახდის გარეშე, თბს ბანკი კი არ თანხმდება ამ პირობას, ჩვენ ვცდილობთ, რომ პენსიონრებზე ამ გამონაკლისის დაშვებას მივაღწიოთ და ყველაფერს ვაკეთებთ ამისათვის."

ეკონომიკის, ქონების მართვისა სა საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ეს მუნიციპალური ტრანპორტის ტარიფი, რაზეც დღეს ვსაუბრობთ, არის თუ არა ჩამკეტი მიკროავტობუსებისათვის, მათი ფასიც გაიზრდება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „კი მიკროავტობუსების საფასურიც გაიზრდება 0,6 თეთრამდე, აქვე ავღნიშნავ ერთ აქტუალურ თემას, საუბარი იყო ავტობუსების ნაკლებობაზე ამა თუ იმ ლოკაციაზე და დაგპირდით, რომ ამ სხდომაზე შემოვიტანდით სვლა-გეზებს, მაგრამ დაემთხვა ესეთი რაღაც, რომ „ემგეეფსა" და „იბეარდს" ხელშეკრულებაში აქვთ ჩადებული, იმ ქალაქში, სადაც ჩამოიყვანეს ავტობუსები შეესწავლათ მგზავრთა ნაკადები, ხაზები, სვლა-გეზები, მარტში ეს პროცესი დასრულდება, ამიტომ აღარ დავასწარით ერთმანეთთან წინააღმდეგობაში რომ არ მოვიდეთ ."

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ბატონო იუზა თუ იქნება შესაძლებელი მოსწავლეებისათვის რაიმე შეღავათების დაწესება, მოგეხსენებათ ოჯახებისათვის ძალიან მძიმე ტვირთია დღეს ეს თემა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მოსწავლეთა 90% მგზავრობის საფასურს არ იხდის, ამასთანავე 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდა კანონმაც გაათავისუფლა და მათი დაჯარიმების უფლება შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელს არ გააჩნია."

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „რამდენად იქნება ქალაქისათვის მომგებიანი, თუ მუნიციპალური ტრანსპორტისა და კერძო მიკროავტობუსების სამგზავრო ღირებულება იქნება თანაბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ამ საკითხთან დაკავშირებითაც გვქონდა მსჯელობა და გადავწყვიტეთ, როდესაც კერძო გადამზიდავებთან გავაფორმებთ ხელშეკრულებას, პირობაში ჩავუდებთ, რომ თითოეულმა თავის მანქანაში უნდა დააყენოს ჯიპიესი, რითიც მოხდება მათი გაკონტროლება, დროული სიარული და ა.შ., შემდეგ მგზავრი გადაწყვეტს რომელს დაელოდოს და რომლით იმგზავროს."

კომისიის წევრი, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ისევ მივუბრუნდები მოსწავლეთა თემას, თქვენ ახსენეთ რომ 16 წლამდე პირი არ ჯარიმდება კანონით, ჩემი სუბიექტური აზრია ნუ მივაჩვევთ ბავშვებს კანონდარღვევას და არ მიმაჩნია სწორად, თუკი გვაქვს რეალობა, რომ ისედაც არ იხდის მოსწავლეთა 90 %, მოდი ნუ გვეყოლება საზოგადოებაში კანონდამრღვევი ბავშვები, რომლებიც ვერ ჯარიმდებიან და გვყავდეს შეღავათის მქონე მოსწავლეები, რომლებიც კანონის დაცვით მგზავრობენ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მოდი დავაკვირდეთ 3 თვის განმავლობაში როგორ განვითარდება მოვლენები, კიდევ ერთხელ გავმართოთ შეხვედრა ადგილზე და ვიმსჯელოთ, მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები და შემდეგ ჩავსვათ ყველაფერი ჩარჩოებში.“

კომისიის წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ერთი თხოვნა მექნება, კიდევ ერთხელ გავმართოთ ხდომა, სადაც მოვისმენთ ამ სამსახურის ანგარიშს, დასაქმებულთა რაოდენობის, სამსახურის ადმინისტრაციული ხარჯების, მუშაობის სპეციფიკისა და სხვა საკითხების შესახებ.“

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „მთავრობის ადმინისტრაციაში გაგზავნილი მქონდა რამდენიმე კითხვა ტრანსპორტთან დაკავშირებით, მოგვივიდა პასუხები და 6 მარტამდე გვაქვს რეაგირების უფლება, ამ დრომდე ჩავნიშნოთ კიდევ ერთი სხდომა და ერთად გავიაროთ, ამ პასუხებსაც გავეცნობით ყველასთვის საინტერესო იქნება დარწმუნებული ვარ.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „დღეს ზუსტად ამიტომ შევიკრიბეთ აქ და გავმართეთ ადგილზე სხდომა, რომ ყველა კითხვას გაეცეს პასუხი, რამდენი იხარჯება ადმინისტრაციულ რესურსში, რამდენი მძღოლია თუ სხვა ტიპის კითხვების არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი თანამშრომელი მზადაა უპასუხოს ამ კითხვებს, შეგვიძლია დღესვე მივიღოთ პასუხი თუ ეს არის ინტერესის სფერო.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-13 წევრი, წინააღმდეგი-გრიგოლ შუშანია, თავი შეიკავა-კობა გურულმა) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 და M_3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მარტის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „შპს „პარკინგსერვისისათვის დამატებით ხდება ადგილების გადაცემა, საპარკინგე სივრცის მოწყობის მიზნით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ბოლო სამმა წელმა ჩვენა, რომ მერიამ შპს-სგან მიიღო დაახლოებით 450 000 ლარის შემოსავალი, ადგილობრივი შემოსავალი შემოვიდა მილიონი ლარი, ის ვალები რაც ადრე არსებობდა და რაც გამოწვეული იყო ქონების არასწორად გადაცემით, გადავანაწილეთ თქვენი თანხმობით, 2020 წელს გადაიხადა 50 000, შარშან-100 000 და წელს ჩასმულია-150 000 ლარი. ამჯერად ვუმატებთ საპარკინგე ადგილებს 67 ერთეულს.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა სა საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ვიცით, რომ კომპანიას არ ჰყავს დასახაზი მანქანა და ამ თემაზე რა არის სიახლე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „აღნიშნულ მანქნას ვყიდულობთ, მისი საფასური დაახლოებით 25 000 დოლარია.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი ინიციატივა, ქალაქის ცენტრალური ნაწილში, რომელიც ძალიან დატვირთულია საპარკინგე სივრცეებით, პრობლემურია პარკირება. ფიზიკური ან იურიდიული პირების კუთვნილი მანქანები გარვეული დროით ჩერდებიან ერთ ადგილზე, მე ვფიქრობ უპრიანი იქნება დავგეგმოთ და სწორი ანალიზის პირობებში საათობრივი

პარკირების საშუალება გავაჩინოთ, ეს ერთის მხრივ მოქალაქეების ინტერესზე იქნება მორგებული, მეორეს მხრივ იქნებ ნაწილობრივ აღიკვეთოს არალეგალური გადასახადის ამკრეფების, ე.წ. „სტაიანჩიკების“ პრობლემა. ასევე შესაძლებელია სერვისის გაუმჯობესების მიზნით, იმ ადგილებზე, რომლების იჯარით გვაქვს გადაცემული და მოწყობილია საპარკინგე სივრცეები, გავაჩინოთ პირობა რომ შპს-სგან დასაქმებულმა პირებმა, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი ფორმით, შესთავაზონ სერვისი ჩვენს მოქალაქეებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „გეთანხმებით, საათობრივი პარკირება კერძო სუბიექტებს გაათავისუფლებს აღნიშნული პრობლემებისაგან.“

კომისიის წევრი, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „გავაჟღერებ მოსახლეობის გულისტკივილს და კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ ეს ე.წ. „სტაიანჩიკების“ პრობლემა აღმოსაფხვრელია, გადმოდიან შეტევაზე, მოქალაქეებს აყენებენ შეურაცხყოფას და მათი თვითნებობა უკვე საზღვარს სცდება.“

კომისიის წევრი, ბატონი **გია ბასილაძე:** „კიდევ ერთ პრობლემას შევეხები, ეს არის მანქანების გაჩერება ე.წ „ტროტუარებზე“, ეს არ უნდა იყოს დასაშვები. იქნებ, როდესაც ვაკეთებთ ტროტუარებს, დამცავი ჯებირებით ავამაღლოთ, რომ შეუძლებელი იყოს მსგავსი ქმედების განხორციელება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „მოგახსენებთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევებშიც ჩვენს მიერ იწერება ჯარიმები და ვცდილობთ აღნიშნული ფაქტის აღკვეთას.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-14 წევრი, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

ზემოაღნიშნული საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულში-იურიდიულ განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულმა სპეციალისტმა, ბატონმა **ვალსი გარდაფხაძემ.**

(განკარგულების პროექტი

ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.გარდაფხაძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ ცვლილებებს, კერძოდ, არქიტექტურის სამსახურში სამშენებლო ნებართვების განყოფილებაში 8 შტატის მაგივრად იქნება 6 შტატი, სივრცის დაგეგმარების განყოფილებაში- 3-ის ნაცვლად იქნება 2 შტატი, ხოლო ძეგლთა დაცვის განყოფილებაში 7-ის ნაცვლად გახდება 10 შტატი. რაც შეეხება სამხედრო სამსახურს, კოეფიციენტები დაემატათ სპეციალისტებს და გაუთანაბრდა მერიაში მომუშავე სპეციალისტების კოეფიციენტებს. “

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **პაატა ლილუაშვილი:** „რამ გამოიწვია აღნიშნული ცვლილება და თუ ეხება ცვლილება ხელფასებს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის, მეორად სტრუქტურულ ერთეულში-იურიდიულ განყოფილებაში შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტი, ბატონი **ვალსი გარდაფხაძე:** „ცვლილება ხორციელდება არქიტექტურის სამსახურის პეციფიკიდან გამომდინარე და ამიტომ მოხდა შტატების გადანაცვლება, ხელფასებს ცვლილება არ ეხება.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 15-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიების წევრები: მაია სიმონიძე, დავით ბახტაძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე, ხათუნა არველაძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, რომან ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-14 წევრი, თავი შეიკავა-გრიგოლ შუშანიამ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობისა და იურიდიულ საკითხთა კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
თეა ჯუღელი